

საპარტიო ცენტრის საკლუბო კომიტეტი და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 აპრილი, ოთხშაბათი, 1987 წ. № 74 (9485) ● ზანი 3 კპპ.


გამომდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ზანიან მომსახურებას მეტი ყურადღება სჭირდება

ფასიანი მომსახურება ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში ეს ტერმინი შედარებით ახალია, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამაჩანსალებელი მუშაობის გარდაქმნის სხვა გზა და საშუალება ხაზიერად აღარ არის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სახელი ერთხელ არ აღმოცენებულა და არც გუშინდელი საკითხისა. ქვეყნის ბევრ ქალაქში კარგა ხანია მოქმედებდა ფიზკულტურულ-გამაჩანსალებელი კომბინატები და გამაჩანსალებელი კლუბები, ბოლო წლებში კი გაჩნდა კულტურულ-სპორტული კომპლექსი, განმარტულობის სკოლა... ერთი სიტყვით, მოსახლეობის ფასიანი მომსახურებისათვის ორგანიზებული მუშაობა ასე თუ ისე ტარდებოდა. მაგრამ ახლა საკითხი სხვაგვარად დგას — მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს, რათა იგი მთლიანად შეესაბამებოდეს სადღესობის მოთხოვნებს, იმ ეკონომიკურ სიხსნებს, რაც საერთოდ ახლა პრაქტიკაში იწვევება. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს გარდაქმნა ამ სფეროში. წლები გადის, მოსახლეობის დაინტერესება იზრდება, ხელთა გვაქვს სადირექტივო ორგანოების უმნიშვნელოვანესი დადგენილებები, და მაინც, ფიზკულტურულ-გამაჩანსალებელ მუშაობაში ფასიანი მომსახურების პრაქტიკა ძირითადად საბაზისურად ვერ ვასცდა. არადა, წელს სოლიდური შემოსავალია დადგენილი. მხოლოდ ახლანდელ შეიქმნა რესპუბლიკაში პირველი გამაჩანსალებელი სკოლა, რომელიც მთლიანად სამეურნეო ანგარიშზე მუშაობს. ეს სკოლა საქართველოს პროფსაბჭომ გახსნა თავისივე მძღველობის მანქანით. ზოგან ახლა მომავალში მწყობრში ჩადგება ფიზკულტურულ-გამაჩანსალებელი კომბინატიც, მაგრამ ეს მაინც არ იქნება საკმარისი. ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, უწყებებმა, უბრალოდ, არ იციან, რით დაიწყონ და რით დაამთავრონ, რისი უფლება აქვთ და რისი არა, ერთი სიტყვით, არ არის საჭირო (საბოლოოდ დახვეწილ-დაუსტებული) ინსტრუქციები და რეკომენდაციები. ვერა, ვერც იმას აუვლით დუმილით გვერდს, რომ ზოგჯერ ერთი ინსტრუქცია „მწვანე გზას“ გიხსნის, მეორე კი გაბრკოლებს და გაჩერებს, ნაბიჯ ვეღარ გადადგამ წინ. ეს კარგად იციან იმათ, ვინც რაღაც მოსურება, საქმე წამოიწყონ, მაგრამ მერე ხელი უიშვებოდ ჩაიჭინა. სამეურნეო ანგარიშზე ობიექტების გადასვლის ან ასეთი ობიექტების შექმნის მსურველებს მეტად უნდა დაეხმარათ. იქნებ რესპუბლიკური თათბირ-სემინარაც მოგვეწყოს. ამ შეხვედრაზე მოვიწვიოთ ისინიც, ვისაც პრაქტიკული დახმარება ევალებოდა. ჩვენი მხრიდან მზად ვართ გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუეთმოთ ამ საკითხებს. დაყოვნების უფლება ნამდვილად აღარ გვაქვს. რესპუბლიკის საუკეთესო სპორტული კერები კვლავ დაუტვირთავია. საღამოს საათებში ისევ ჩაბნელებულია სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების, საწარმოების სპორტული ბაზები. არადა, მოსახლეობა ესწრაფვის ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატურ მეცადინეობას.

როცა საქმე ადამიანთა კეთილდღეობას ეხება, ყველამ მხოლოდ ერთი უმთავრესი და უზენაესი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ — ხალხის ჯანმრთელობა ქვეყნის ყველაზე ძვირფასი საგანსურია!

ბიკინი - პიონერი



● **ბიკინი**. იაპონიის დედაქალაქს ეწვია ჰაბაროვსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის ბეისბოლისტთა გუნდი 16 მოთამაშის შემადგენლობით. საბჭოთა სტუდენტები იაპონიის საუკეთესო ბეისბოლისტებთან ერთობლივ წვრთნას ჩაატარებენ და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.


● **ვილტონ კაიდი (აზუ)**. 17 წლის ჩოგბურთელმა შტეფე გრაფმა (გფრ) წლეულს მესამე საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ფინალში მან ბულგარელი მწველა მალევე დაამარცხა — 6:2, 4:6, 6:3.

● **გაუდაპეშტი**. რაბირსტ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ფრანგმა მოფარევემ ფილიპ ომენემ მოიგო. ფინალში მან იტალიელი მარკო არვინო დაამარცხა. ლენინგრადელი ანდრეი კლიუშინი VII ადგილზე გავიდა.

● **დალასი (აზუ)**. 22 წლის ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა მილოსლავ მეჩირმა ამ ქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. მან თანამიმდევრულად დაამარცხა შვედი მათს ვილანდერი (3:0), ეკვატორელი ანდრეს გომეში (3:1) და ბოლოს ფინალში ამერიკელი ჯონ მაკინროუ (3:0). აგდემყოფობის გამო ამ ტურნირში ვერ გამოვიდნენ ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) და ბორის ბეკერი (გფრ).

● **პარიზი**. ექვსდღიან საგზატყევილო ველორბოლაში პირველი ადგილი ფრანგმა პასკალ სიმონმა დაიკავა — 18:52.47. გამარჯვებულს მხოლოდ 35 წამით ჩამორჩა გდრ-ის წარმომადგენელი უფე ამბლერი. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი პიოტრ უგრიუშოვი ატყობდა — მეექვსე ადგილი.

ბიკინი მარკაზვილის გამარჯვება




ბიკინის საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი კოსმონავტის ვლადისლავ ვოლკოვის ხსენისადმი მიძღვნილი აკრობატთა საერთაშორისო ტურნირის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ასპარეზობა უკვე მეტეფსმეტელ ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო 10 ქვეყნის ასამდე უძლიერესმა სპორტსმენმა. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ბელგიის, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჩინეთის, პოლონეთის, გფრ-ის, საფრანგეთისა და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

გათამაშდა რვა უმაღლესი ჩოლო (პროგრამის ერთ-ერთ სახეობაში ორი მთავარი პრიზის გადაცემა გახდა საჭირო), რომელთაგან ოთხი საბჭოთა კავშირის აკრობატებს ერგოთ.

ვაჟთა შორის ინდივიდუალურ ხტომებში პირველი ადგილი და ოქროს მედალი თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვაი მარმარაშვილმა (მწვრთნელი გომბერ ლაშვი) მოიპოვა. მან ყველაზე მეტი — 29,70 ქულა დააგროვა. ქალთა ანალოგიურ შეჯიბრებაში გამარჯვება ვორონეჟელ ირინა მედვედევას ხვდა — 29,06 ქულა.

კვამა უპირატესობა ვერც ერთ ღუტეს ვერ მიაკუთვნეს. გამარჯვებულად გამოცხადდნენ ვორონეჟელები ელენა დრუჟინა და ზულფია ალიმოვა ერთის მხრივ, და ჩინელები ლუ მეიციუანი და იუი ვეი. ორთავე წყვილს ერთნაირი შედეგი — 29,60 ქულა აღმოაჩნდა.

მეგრულ წყვილთა შეჯიბრება ჩინელებმა ფან ზოშენმა და იუი პინმა მოიგეს — 28,60 ქულა. ჯგუფური შეჯიბრებების სხვა ორ სახეობაში პირველი ადგილები ბულგარულ აკრობატებს ხვდათ.



ბოქსის შეხვედრა

ქუთაისში შეხვედრები

სულ მალე ეს ქალაქი მოკრივეები, რომლებიც ამ დღეებში გ. ი. ლენინის სახელობის დარბაზის რიგზე ცნობილი ქართველი მოკრივის დავით კვაჭაძის პრიზის მოსაპოვებლად იბრძოდნენ, თანატოლებთან ერთად თავს მოიყრიან ქუთაისში, სპორტსკოლების საკავშირო თამაშებში მონაწილეობის მიზნით. ამდენად, თბილისის ტურნირის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი შეხვედრებისათვის, მათი მომზადების თვალსაზრისით. კვაჭაძის სახელობის ტურნირის მონაწილეთაგან ბევრმა სათანადო ოსტატობა და ბრძოლის კარგი კლასი გვიჩვენა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი რაღაცეები უნდა იქნებოდეს, რომ მსგავსი რაღაცეები უნდა იქნებოდეს.

იხ. გვ. 4 გვ.



კალათბურთი

მინსკის რტი, მოსკოვის „დინამო“ და ვილნიუსის „სტატბა“ კვლავ იასპარეზებენ ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში. პანკევისში (ლიტვის) გამართულ გადასასველ ტურნირში ამ გუნდებმა აჯობეს ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“, ვოროშილოვგრადის „სპარტაკსა“ და ნიკოლაევის გემთმშენებელი ინსტიტუტის გუნდს.

სპორტი უკვლასტაში ვის აღარ ნახათ დღეს სპორტულ სარბივლზე. სპორტმა ახალი არ იცის და მხეც განპირობებს მის დიდ სოციალურ დანიშნულებას. ამ სურათზე აღბეჭდილია ჩვენი რესპუბლიკის ორი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა ასპარეზობის ფრაგმენტი. წერილს სათაურით „ფარს უტრევენ დოცენტები“ გთავაზობთ გვ. 4 გვერდზე.

18-19 აპრილს სტარტს იღებს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი. შეჯიბრება ორ წრედ, მიმოსვლით წარმართება, რასაც ფინალური თამაშები მოჰყვება. პირველი წრე აპრილ-ივნისში გაიმართება, მეორე — სექტემბერ-ნოემბერში, ფინალური შეჯიბრებები კი დეკემბერში თბილისში ჩატარდება. გუნდები ორ ზონად არიან დაყოფილი: დასავლეთის ზონაში ერთმანეთს შეხვედებიან აჭარის, აფხაზეთის, სამტრედიის, ქუთაისის გუნდები, აღმოსავლეთის ზონაში — სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, თელავის, თბილისის (ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა) კოლექტივები. ზონებში პირველ და მეორე ადგილებს დაიკავებენ.

ხელბურთელები იწყებენ

18 აპრილი. აფხაზეთი — ქუთაისი.
19 აპრილი.
II ტური. ქუთაისი — აჭარა, 16 მაისი, სამტრედია — აფხაზეთი, 17 მაისი.
III ტური. აჭარა — აფხაზეთი, 20 ივნისი. ქუთაისი — სამტრედია, 21 ივნისი.

ადმოსავლეთი ზონა
I ტური, თბილისი — თელავი, 18 აპრილი. სამხრეთ ოსეთი — რუსთავი, 19 აპრილი.
II ტური, რუსთავი — თბილისი, 16 მაისი. თელავი — სამხრეთ ოსეთი, 17 მაისი.
III ტური, თბილისი — სამხრეთ ოსეთი, 20 ივნისი. რუსთავი — თელავი, 21 ივნისი.

გულზე გასული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც მათთან ერთად იასპარეზებენ თბილისის ჩემპიონატის პირველი და მეორე ადგილების მფლობელები. გადამწყვეტი მატჩები რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლენად ერთ წრედ ჩატარდება. რაც შეეხება ზონებში მეორე ადგილზე გასულ კოლექტივებს, ისინი პირველ ჯგუფს გამოეთქვებიან და მათ ადგილს შესარჩევ ტურნირში გამარჯვებულები დაიკავებენ.


შეჯიბრების დებულებების მიხედვით, ვაჟთა გუნდებმა უნდა იყოლიონ არანაკლებ 190 სანტიმეტრის სიმაღლის ერთი მოთამაშე, ქალთა გუნდებში კი ასევე არანაკლებ 180 სმ. სიმაღლის ერთი სპორტსმენი უნდა იყოს.

ქალთა გუნდების ჩემპიონატი ორ ტურად გაიმართება: I ტური — ქუთაისში (25-29 აპრილი), II ტური — ტყიბულში (25-30 სექტემბერი). შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ტყიბულის, წყალტუბოს, თბილისი-I, თბილისი-II (ოლიმპიური რეზერვის სკოლა) გუნდები.

ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის კალენდარი:

I ნაკი
დასავლეთი ზონა
I ტური. აჭარა — სამტრედია,

საქართველოს თანის გათავაშვა სასტენდო სროლაში



გია შენგელია ლევან ლეკიშვილი შოთა თავაძე დავით ტორუა

გაზაფხულის ფასი

ზუბდილსა და მახარაძეში სასროლეების აშენებით დიდი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარების გზაზე. ამ ბაზებზე, როგორც იტყვიან, სულზე მოუწერო ჩვენს მსროლელებს: თბილისში მონაკაშვილის სასროლეის (ვაკე) და ნავრეთის შემდეგ ისინი მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვარკეთილის ბაზის შესაძლებლობები აშკარად ვერ უბასუხებს სადღესობის მოთხოვნებს. შესაძლოა ამიტომ, იმ ძველ ბაზას დღესაც დიდი სინანულით იხსენებენ სპორტსმენები და მწვრთნელები. თუმცა რა გასაკვირია, იქ აღიზარდა თითქმის ყველა ჩვენი ცნობილი მესტერები: პეტრე სარქიშვილი, დავით ცაგარეიშვილი, შალვა ჩახნაშვილი, ზორის ინტონოვი, ვალერიან ჯაბახაძე, ზურაბ მანხანელი, ტარიელ უდენტო, თამაზ იმნაიშვილი და სხვები.

ახალი სასროლეების აშენებამ, კიდევ ვიმეორებთ, საგრძობად გამოაქვთ მდგომარეობა, თუმცა თბილისში ეს პრობლემა ჯერ გადაუჭრელია. რაც უნდა იყოს, რესპუბლიკის ნაკრების ბირთვს, თვით იუნიათა გუნდის ბირთვსაც კი, დედაქალაქის სპორტსმენები შეადგენენ. საწვრთნელი შეკრებები ზუგდიდსა და მახარაძეში ნაწილობრივ შედის საქმედ.

მოგვსვენებთ, რამდენად პოპუ-

ლარულია სასტენდო სროლა ახალგაზრდებში, მით უფრო — ბიჭებში. — ვარჯიშის მსურველი იმდენია, აღარც ვიცი, რა მოვუხერხებოთ, — ამბობს ზუგდიდის გუნდის მწვრთნელი შოთა ფეტვიშვილი. ახალგაზრდა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი შოთა ფეტვიშვილი ზუგდიდის მკვიდრი არ გახლავთ. იგი თბილისიდან ჩავიდა იქ ადგილობრივ სპორტის ხელმძღვანელთა მიწვევით. ჩავიდა და ამ მოკლე ხანში ძლიერი გუნდი შექმნაც მოასწრო.

საქართველოს თანის გათავაშვაში, რომელიც თბილისში, ვარკეთილის სასროლეზე გაიმართა, ფეტვიშვილის მოწვევით დავით ტორუამ ყველას აჯობა ადგილიდან სროლაში (იუნიათა შორის). მრგვალ სტენდზე სროლაში მეორე იყო ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ჯამბულ გაბეია. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა სპეციალისტის მუშაობის შედეგი აშკარაა. დავით ტორუას, რომელიც ზუგდიდის № 62 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეა, იუნიათა საკავშირო ნაკრების მწვრთნელებაც დაადგეს თავა.

ახალგაზრდა მწვრთნელის მონდომება და გარჯა ყურადღებას იმსახურებს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას ძალიან შეუწყო ხელი ახალი ბაზის გახსნამ. სპორტის ისეთ ტექნიკურ სახეობაში, როგორც სასტენდო სროლა,

კარგი ბაზა მუშაობის ერთ-ერთ გადაწყვეტ პირობად რჩება. თბილისელი მწვრთნელების, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გურამ მაჩხანელისა და ტარიელ ჟღენტის ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ვარკეთილის სასროლეზე, რომელიც მუდამ გადატვირთულია, ძალიან უძნელებდათ მუშაობა.

მისი

მრგვალი სტენდი. იუნიათა. 1. ლეკიშვილი (თბილისი) — 178; 2. დ. ვაბელია (ზუგდიდი) — 163; 3. ბ. ბარათაშვილი (თბილისი, სამივე — „დინამო“) — 160. ვაუები. 1. გ. შენგელია — 217; 2. დ. ქავთაძე — 203; 3. ლ. ასეიშვილი („დინამო“, სამივე — თბილისი). 200.

სახანგრძლივად. იუნიათა. 1. დ. ტორუა (ზუგდიდი, „დინამო“) — 179; 2. გ. ქაშაბერიშვილი (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 174; 3. ვ. ოდიშელი („დინამო“) — 171. ვაუები. 1. შ. თავაძე („ლოკომოტივი“) — 217; 2. ა. კვერციანი (ბონკაშვილი) — 212; 3. ა. საბედაშვილი („დინამო“, სამივე — თბილისი) — 205.

გუნდური: 1. „დინამო“; 2. სამხედრო-სამონადირეო საზოგადოება; 3. „კოლმეურნი“.

რაზარის დაოსტატების სკოლა

პრელაბები შემოღობადა

საქართველოში ნორჩ პერსპექტიულ წყალბურთელთა გამოხატვად და დახარბატებლად ვაკის საცურაო აუზში წელს ხისტემატურად ახარეზობენ 1978 წელსა და უფრო გვიან დაბადებული ბავშვებისგან დაკომპლექტებული გუნდები, რომლებიც თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ იხელიძის სახელობის კლუბის პრეზის მოსამოყვებლად იბრძვან.

ამ მეტად საჭირო ღონისძიებას ჩვენ უკვე გამოვეხმარეთ, ბოლო ხანებში კი კვლავ დავესწარი შეჯიბრებებს — პირველი წრის ბოლო მატჩებს.

ბავშვები ახლა გაცილებით უკეთ თამაშობენ, — გვითხრა საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთეში ვლადიმერ ბარნაბიშვილმა. ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით ისინი საკმაოდ დაწინაურდნენ, მაგრამ მინდა ერთი შენიშვნა გამოვთქვა: მწვრთნელები მეტრამეტად გაიტაცა ტაქტიკამ. ისინი აღსაზრდელებს ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას არ აძლევენ, ეს ყველაფერი მოზარდ წყალბურთელს იმპროვიზაციის უნარს აკარგინებს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგი სპორტსმენები გვეზრდებიან. მომავალში ალბათ უკეთესი გვეყვალბებიან, თუ მათთვის

ცურაში, საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში, ბურთის ფლობისა და ტურნირის ტექნიკაშიც გაუმართავი შეჯიბრებებს.

ასპარეზობის მონაწილეებმა პირველი წრის შეხვედრები უკვე დაამთავრეს. დაწინაურდნენ თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები, ქუთაისელი და თბილისის „ნორჩი დინამოს“ პირველი გუნდები, მათ კვალში დგანან განათლების სამმართველოს მეორე გუნდის, რუსთაველისა და „ნორჩი დინამოს“ მეორე ნაკრების წყალბურთელები.

შეჯიბრებები სექტემბერში განახლდება. იმედია, მანამდე ნორჩი წყალბურთელები ოსტატობას უფრო დახვეწენ.

ავთანდილ ბჟვიშვილი, ავტორის ფოტო.



ლახტის წრეში

სახელს გაფრთხილება

იმ გუნდებსა თუ ცალკეულ სპორტსმენებს, რომლებსაც საბასუხისმგებლო შეჯიბრებებზე რესპუბლიკის ღირსების დაცვას ვანდობთ, რასაკვირველია, ერთნაირ შედეგებს ვერ მოვხვებით. სპორტი სპორტია და ზოგმა შეიძლება წაავოს კიდევ, მაგრამ ვინ არ იცის, რომ რესპუბლიკის ღირსების დაცვა უფრო მაღალი მოვალეობაა, ვიდრე სპორტულ ასპარეზზე კარგი შედეგის ჩვენება.

სპორტსმენს მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევა, ცხადია, არც შინ ეპატიება, არც გარეთ. მაგრამ ისიც უდავოა კეთილშობილად, რომ სტუმრად, სხვის ქალაქში ყოფნისას თუ უცხო სარბიელზე ასპარეზობის დროს, ყველას განსაკუთრებული თავშეკავება და რიდი მართება. ამ დღეებში ლენინგრადიდან ბარათი მოვიდა. მასში ლაპარაკია ჩვენი მოსწავლე მოფარაკავეების შეუფერებელ საქციელზე, რომლებიც ნევისბორა ქალაქში საკავშირო ტურნირში მონაწილეობდნენ.

მაინც რა დასაშვებს ჩვენმა ახალგაზრდებმა? ამის შესახებ ჩვენ მათ მწვრთნელებს ვესაუბრეთ. გამოიჩინა, რომ კომპლექტის მიწვევა გახდა ლენინგრადის სასტუმრო „ოქტაბრსკაიაში“ ინვენტარის დაზიანება. ახლა, ჩვენი გუნდის ყველა წევრი ერთნაირ აპტიციებს, რომ სპორტსმენებმა ინვენტარი შემთხვევით დაზიანეს, მაგრამ ეს არ ამართლებს არც აღმ-

ზრდელებს და არც აღსაზრდელებს. მთავარი და ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ დავაში, მწვრთნელებთან ერთად, მონაწილეობდნენ სრულიად ახალგაზრდა სპორტსმენები, რომელთა საქციელი, სხვადასხვა შორის, ძალზე შეცრად არის შეფასებული ზემოხსენებულ ბარათში. ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მწვრთნელი, რომელსაც ბავშვებს ანდობენ უცხო ქალაქში, მათთვის მშობელიც უნდა იყოს და დამრიგებელიც. მის წინდაუხედავ მოქმედებას თუ შეცდომას მძიმე შედეგები მოხდეს, რომლისთვისაც შემდეგ მთელი გუნდი თანაბრად აგებს პასუხს.

რასაკვირველია შეიძლება დაგვესახელებინა გვარებიც, მაგრამ ამერად მოვირიდეთ. ნორჩ სპორტსმენთა საჯაროდ შეჩვენება, ისიც იქნებ მართლაც უნებლიე საქციელიც გამო, ალბათ მეტისმეტად ეკისრება განჩინებას იქნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ ლენინგრადში მომხდარი ინციდენტის კარგი გაკვეთილი იქნება მათთვის. უფრო და მათიქმედებლად იმ მწვრთნელის საქციელი, რომელიც მოზარდს მხოლოდ სპორტის ანბანს ასწავლის. მწვრთნელი ხომ პედაგოგიც უნდა იყოს.

ისიც გაიჩინა, რომ ჩვენი მოსწავლეთა ნაკრები შეჯიბრებაზე, სახალხო განათლების ორგანოების თანხმობით, საერთო წრის გვერდის ავლით, რესპუბლიკის სპორტსკოლის ვიზის გარეშე გაემგზავრა.

უკაცრავად.

შეგახსენებთ!

„ინციდენტი რომ არა“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 25 თებერვლის ნომერში გაკრიტიკებული იყო რუსთაველ მოსწავლე სამისბიტა გუნდის მწვრთნელი ვ. ჩი-

რამაძეცხას არ უბასუხა რუსთაველის სახალხო განათლების განყოფილებას

ხრძე, რომელიც ცხინვალში მოზარდ სამისბიტა შეჯიბრებაზე უტაქტოდ იტყუებდა და ნორჩ სპორტსმენთა მშობლებიც აიყოლია.

რა ზომები მიიღო რუსთაველის სახალხო განათლების განყოფილებამ? პასუხს კვლავ ველოთ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას?!“

„ლელოს“ 15 მარტის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის პრეფხორ ავთანდილ ციხაძის წერილი „რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას?“, რომელშიც დაგმობილი იყო თავნება და უტაქტო მძღოლთა საქციელი.

ამასთან დაკავშირებით ვაცნობებთ, რომ მძღოლთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ საკითხი განჭვინილეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონისპექციის სამმართველოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სახანჯლოინსპექციის საგზაო-სამატარებლო სამსახურის

ქვეგანყოფის პირად შემადგეშობათა ოპერატიულ თათბირებზე.

დასახულია დამატებითი ღონისძიებები ქვეითად მოსიარულეთ ორგანიზებული ტურისტული ჯგუფების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ჯგუფების ხელმძღვანელთა მიერ შედგენილი აქტების საფუძველზე იმ მძღოლების მიმართ შესაბამისი ზომების მისაღებად, რომლებმაც უტაქტობა გამოიჩინეს, ან სახიფათო სიტუაცია შექმნეს გზაზე.

ამასთან ერთად ვაცნობებთ, რომ ქვეითად მოსიარულეთ ორგანიზებული ტურისტული ჯგუფების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველ-

საყოფად და მძღოლებთან მათი კონფლიქტის თავიდან ახაცილებლად საჭიროა ტურისტულმა ჯგუფებმა იმობარონ მხოლოდ საავტომობილო გზების საველი ნაწილის მარჯვენა მხარეს არა უშეგებს ოთხ რიგად. კოლონის თავში და ბოლოში უნდა ჩადგნენ წითელაღმინი გამცილებლები, ბინდში კი ჯგუფის წინმავალმა თეთრი ფარანი უნდა დაიჭიროს ხელში, ხოლო ბოლოში მიმავალმა — წითელი.

გიორგი ცინცაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სახელმწიფო ავტონისპექციის სამმართველოს უფროსი.

დაფავს უხსნადან სოფლის მოჭადრაკეები

წალტუბოში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ჯადრაკში ქალთა და ვაჟთა შორის. ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა ზუგდიდელმა გოჩა თორიამ (6,5 ქულა 7 შესაძლებლიდან). 6 ქულით მეორე ადგილზეა ვადიმ ღუნდუა (სამტრედია). 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს თემურ მასხარაშვილმა (ქუთაისი) და კახა თათარიშვილმა (ცხაქაი). უკეთესი კოეფიციენტის გამო მესამე ადგილზეა კახა თათარიშვილი. ეკატერინე

ფახიროვამ (ქუთაისი), რომელიც ვაჟებში ასპარეზობდა, შეჯიბრება 5 ქულით დაამთავრა. გოგონებში უძლიერესი იყო წულუკიძე იხვა ბურცილა (6 ქულა). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ირინე ქლიბაძე (ქუთაისი). 5-5 ქულით მომდევნო ადგილები დაიკავეს ნინო ოთიაშვილმა და ელენე ფარეშვილმა (ორივე — საგარეო).

დ. ბურბანიძე, შეჯიბრების მთავარი მხაჯი.

ზოია რუსაკის პრიზა

წულუკიძეში გაიმართა ზოია რუსაკის სახელობის მესამე ტრადიციული საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც შევიცარული იქნა სისტემით, 7 ტურად ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ბაქოს, ვოლგოგრადის, მახჩკალის, სუმგაითის, სოჭის, ქუთაისის, ტყიბულის, ცხაქაის, წყალტუბოს, სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის მოჭადრაკეთა გუნდებმა.

25,5 ქულით მთავარი პრიზი მოიპოვა მოსკოვის პირველობა გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდნენ წულუკიძის № 8 საშუალო პროფსასწავლებლის წარმომადგენლები (20,5 ქულა). მესამეზე — ქუთაისის საჭადრაკო კლუბ „მაის“ მოჭადრაკეები.

თენგიზ სარლამიძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, შეჯიბრების მთავარი მხაჯი.

მოკლად

ამბროლაში. სარაიონო ვაზეთ კომუნის მის დროშის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაზე მინიფებურთში მონაწილეობა მიიღო 22 გუნდმა.

პირველი ადგილი დაიკავა სტარონის ქუჩის გუნდმა, რომელსაც გ. ჯიქია ამზადებდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აბოლაურის ნაკრები და № 156 პროფსასწავლებლის კოლექტივები.

დ. სანაღლიძე.

ჩხორიჭუჭუ. ხაბუმეს საშუალო სკოლაში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

გუნდურ შეჯიბრებაში ყველას ხაბუმეს საშუალო სკოლის ნორჩ ფალეანთა ნაკრებმა აჯობა. პირად პირველობაში გაიმარჯვეს როლანდ წურწუშიამ, ბესიკ თოლორაძემ და როინ წულაიამ.

ს. ჯალალონია.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

კიდე მრი ტური

დასასრული

„სინათლე“: გურასაბული (20), ლონდაძე (20), სინჯარაძე (12), ჯორჯია (10), ქორჭია (9), ჩაჩანიძე (5), ჩაჩანიძე (2), შავლოხოვი, ძიძიგური.

ფიშა. ინსტ: ლიპარტელიანი (21), ფერიაშვილი (19), ტომარაძე (15), ჩერქეზიშვილი (12), კობეშვიძე (8), დადიანი (2).

12 აპრილი. „სინათლე“ (თბილისი) — ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 87:89 (82:50).

მსაჯები: რ. ხომერაძე და გ. ოხიაშვილი (ორივე — თბილისი), კომისარი — ნ. დარბაჯიანი (სოხუმი).

„სინათლე“: ქორჭია (28), გურასაბული (14), ჯორჯია (10), სინჯარაძე (5), ლონდაძე (4), ჩაჩანიძე (4), შავლოხოვი (2), ძიძიგური.

ფიშა. ინსტ. ჩერქეზიშვილი (21), ფერიაშვილი (21), კობეშვიძე (18), ლიპარტელიანი (15), ტომარაძე (14), დადიანი, მისხუბაძე.

პირველ შეხვედრაში მატჩის ბედი უკანასკნელ წუთებში გადაწყდა.

მეორე დღეს სტუდენტებმა გაცილებით უკეთ და აზრიანად ითამაშეს. ფიჭულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა შეტევებს უნარიანად წარმატებულა მოთამაშე-მწვრთნელი ლიპარტელიანი.

11 აპრილი. „მართვე“ (თბილისი) — ქუთაისი 90:85 (46:38). მსაჯები: რ. ხომერაძე, ე. კახანაძე, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).

„მართვე“: გ. ქართველიშვილი (22), ცხვედიანი (16), რევაზიშვილი (15), კ. ქართველიშვილი (13), ლლონტი (10), შენგელია (8), ორმოცაძე (3), უსტიაშვილი (3), ტურაშვილი, შარაშენიძე.

მუთისი: გოქასაძე (26), ხუჭაძე (11), ვაშაძე (10); კორძაძე (6), კობერიძე (4), კანდელაკი (4), ანდლუაძე (2), ნაცვლიშვილი (2), გუბელიძე, წულუაძე.

12 აპრილი. „მართვე“ (თბილისი) — ქუთაისი 82:75 (37:48). მსაჯები: ე. კახანაძე, ზ. დიდბარაძე, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).

„მართვე“: ორმოცაძე (23), ტურაშვილი (15), გ. ქართველიშვილი (14), ცხვედიანი (11), კ. ქართველიშვილი (7), შენგელია (7), რევაზიშვილი (5), ლლონტი, უსტიაშვილი.

მუთისი: გოქასაძე (18), კობერიძე (16), კორძაძე (14), წულუაძე (12), ხუჭაძე (11), ვაშაძე (2), ნადარაძე (2), ანდლუაძე, გუბელიძე.

ამ მატჩში წესრიგის პირველი დარღვევა დაფიქსირდა: ქუთაისელთა საუკეთესო მოთამაშე გოქასაძე არასპორტულ საცდელისთვის ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

11 აპრილი. გორი — „დინამო“ (თბილისი) 77:80 (34:38). მსაჯები: რ. გოგელია და გ. მოლოდინაშვილი (ორივე — თბილისი), კომისარი — ტ. ჯაფარიძე (წულუკიძე).

გორი: სამხარაძე (24), ინაური (17), კორტიკაძე (16), ზამთარაძე (10), სულხანიშვილი (8), ჩხეტიანი (2).

„დინამო“ გეგეშიძე (18), მოველიძე (18), ბაქრაძე (15), ჭორვაშვილი (11), დაუშვილი (9), ცაგარეიშვილი (7), ჩოფიაშვილი (2).

12 აპრილი. გორი — „დინამო“ (თბილისი) 88:78 (40:30). მსაჯები: რ. გოგელია და გ. მოლოდინაშვილი (ორივე — თბილისი), კომისარი — ტ. ჯაფარიძე (წულუკიძე).

გორი: სამხარაძე (29), კორტიკაძე (19), ინაური (13), ზამთარაძე (9), სულხანიშვილი (6), ზიზიბაძე (4), ჩერდიუოშვილი (3), რუსიშვილი (3), ონიანი (2).

„დინამო“: გეგეშიძე (27), ბაქრაძე (13), ჭორვაშვილი (12), ბერიძე (8), მოველიძე (6), დაუშვილი (5), ცაგარეიშვილი (5), ზახაროვი (2).

ნორმა დინამოელებმა პირველ მატჩში მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს. გორის გუნდმა განმეორებულ შეხვედრაში დამსახურებული რევანში აიღო. მეტოქე-

ებს ჰყავდათ გამოკეთილი ლიდერები. გორის გუნდში — სამხარაძე, „დინამოში“ — გეგეშიძე.

11 აპრილი. თელავი — ბათუმი 80:79 (44:38). მსაჯები: რ. გოგელია, ვ. ჯუჯუაშვილი, კომისარი — ა. მესხი (ყველა — თბილისი).

თელავი: ტუნაშვილი (24), დალეიშვილი (23), ბერუაშვილი (12), სულხანიშვილი (9), მისურაძე (6), ჭეიშვილი (4), კარლიაშვილი (2), არჯევანიძე, მწყერაძე, წიქარაშვილი, მესტირიაშვილი.

ბათუმი: ემირიძე (22), ლოლიშვილი (21), შვეციანი (15), შერვაშიძე (10), ფოკიანი (6), მეტრეველი (3), ხელაძე (2), დისამიძე, ჭინჩაძე, უდენტი, ბარამიძე, ვიშნიაკოვი.

12 აპრილი. თელავი — ბათუმი 72:64 (35:35). მსაჯები: რ. გოგელია, ვ. ჯუჯუაშვილი, კომისარი — ა. მესხი (ყველა — თბილისი).

თელავი: ბურუაშვილი (25), სულხანიშვილი (17), ტუნაშვილი (16), დალეიშვილი (10), ჭეიშვილი (4), მისურაძე, არჯევანიძე, მწყერაძე, მესტირიაშვილი, კარლიაშვილი, წიქარაშვილი.

ბათუმი: ემირიძე (25), ლოლიშვილი (14), ფოკიანი (11), უდენტი (6), შერვაშიძე (6), შვეციანი (2), დისამიძე, ხელაძე, მეტრეველი, ჩინჩაძე, ბარამიძე, ვიშნიაკოვი.

თელავის კალათბურთელებმა შინ ორივე მატჩი მოიგეს, მაგრამ მეტოქემ მას ღირსეული წინააღმდე-

გობა გაუწია, განსაკუთრებით მძიმე ბრძოლა აღინიშნა პირველი მატჩის ორთხელის მასპინძლებში. ლიდერი ჩოლოი მოიგეს.

როგორც ცნობილია, კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილენი ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი. გათამაშების ამ ეტაპზე გუნდები თავიანთ ქვეჯგუფებში პირველ-სამ ადგილზე გასვლისათვის იბრძვიან, ვინაიდან პირველი ფინალური ჯგუფი სწორედ ამ კოლეტივებისაგან შეიქმნება.

უკვე ჩატარდა ჩემპიონატის პირველი ეტაპის ოთხი ტური. სატურნირო ცხრილები ასე გამოიყურება:

Table with 4 columns: Team, Points, Goals, etc. I ქვეჯგუფი

Table with 4 columns: Team, Points, Goals, etc. II ქვეჯგუფი

მასალები მოამზადა ჯ. ხუნბაძემ.

ფარს უბევე დოხანტაბი

რუსთაველთა თაოსნობამ — მეგობრული სპორტული კოლექციების შეგროვებამ — საწარმოებოდად უმაღლესი ხარისხის მატარებელი ავტომობილებში გადაინაცვლა. 12 აპრილს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექციამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა.


სარბიელზე პირველად პროფესორ-მასწავლებლები გამოვიდნენ. მონაწილეთა შორის ექვსი დოცენტი იყო: პოლიტექნიკის გუნდში — ვასილ ჭარხალია და გურამ გლუჩიძე, უნივერსიტეტის კოლექციის — ავთანდილ წერეთელი, კარლო ადვიშვილი, ჭარხალია ჯაფარიძე და ირაკლი ხორციძე.

პოლიტექნიკის ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდათ: მათი გუნდი ბევრად უფრო ახალგაზრდული იყო, თუმცა, ბებერი ხარისის რეპეტიც ხნავდათ. უნივერსიტეტში — ახალგაზრდობა — კალათბურთელებმა ტოლი არ დიდეს ახალგაზრდებს და, რომ არა ვასილ ჭარხალიას ოსტატობა, გამარჯვების საწორიც მათვე გადაიბრუნებდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ავთანდილ წერეთელი და მეორე ტაიმში გამოსული ჭარხალია ჯაფარიძე.

როდეს, მათმა სამქულიანმა ტყორცებმა ბევრჯერ მიიღწია მიზანს, მაგრამ ეს გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა — ანგარიშით 61:56 მატჩი მოიგეს პოლიტექნიკელებმა.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტიკის“ რესპუბლიკური საბჭოს სპეციალური პრიზები გადაეცათ მატჩის საუკეთესო მოთამაშეებს ვასილ ჭარხალიას და ავთანდილ წერეთელს. შემდეგ მოედანზე სტუდენტები გამოვიდნენ. ერთ მატჩში გამარჯვებს უნივერსიტეტელებმა, მეორეში — პოლიტექნიკოსებმა. შუალედში გაიმართა შეგობრება სამქულიან ზონიდან ტყორცაში. გამარჯვება ლეგან ინჟინრელებმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

ახლანდელი სასაზოგადოებო ფაქტი. სამივე მატჩში უაღრესად დაძაბულად ჩაიარა. ეს განსაკუთრებით მაინც პირველ შეხვედრაზე ითქმის. ერთ მომენტში მსაჯის გადაწყვეტილების გამო თამაშში „ნერვებიც“ ჩაერთა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ასეთ მატჩებს, ისევე როგორც ოფიციალურ შეხვედრებს, სათანადოდ მომზადებული კვალიფიციური მსაჯები და უკეთესი ორგანიზაცია სჭირდება.



204-დღიანი მარათონი

მიუხედავად იმისა, რომ „ფორმულა-1“-ის საავტომობილო რბოლის არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, ამ სახეობის პოპულარობა მსოფლიოში ძალზე დიდია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 16 ეტაპის შეგობრებებს მილიონ-ნახევარზე მეტი მაყურებელი დაესწრო. სულ უფრო მეტ გულშემატკივარს იძენს სპორტის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაშიც. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ გააგანობოთ ზოგიერთი ის სპორტსმენი და ავტორიტეტი, რომლებიც 1987 წლის სეზონში იასპარეზებენ. თუმცა, მანამდე ცოტა რამ ისტორიდან: პირველ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1950 წელს გაიმართა, გამარჯვა იტალიელმა მრბოლმა

სტიუარტი. მას 27 „დიდი პრიზი“ აქვს მოგებული. 25-25-ჯერ ფლობდნენ ამ პრიზს ნიკი ლაუდა, ჯიმ კლარკი და ალენ პროსტი, 24-ჯერ — ზუან მანუელ ფანო.

ორიოდე სიტყვით მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების წესების შესახებ: სულ იყვება 16 ეტაპი. „დიდი პრიზის“ მოგებისათვის მრბოლი იღებს 9 ქულს. შემდეგ ქულები ასე ნაწილდება: II ადგილი — 6 ქული, III — 4, IV — 3, V — 2, VI — 1. დანარჩენები ჩასათვლელ ქულებს ვერ იმეზენ. საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად ეს ქულები ჯამდება.

წლებიდან ჩემპიონატის პირველი ეტაპი რომ-დე-ჟანეროში, ბოლო კი — ავსტრალიის ქალაქ ადელიდაში გაიმართება. მსოფლიო ჩემპიონატი 204 დღეს გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში თითოეულ სპორტსმენს 4 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი დაფარავს მთხუნვება.

ახლა კი გაგაცნობთ ძირითად ფორმებსა და სპორტსმენებს, რომლებიც 1987 წლის „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონობისათვის იბრძვიან ის ფორმები და კონსტრუქტორებიც, რომელთა წარმომადგენლებიც სპორტსმენები არიან. „შარპრი“ ფორმის ხელმძღვანელია 89 წლის ენკო ფერარი, ინჟინერი — ჰარვი პოსტლიტვიტი, მწვრთნელი — მარკო ბეჩინინი.

ქუთაისში უხვპლანან

დასასრული



ამ ორ კოლექციის შორის 19 აპრილს კვლავ გაიმართა შეხვედრები, ამჯერად — მინიფეხბურთის და ფრეზბურთში. მასპინძლები უნივერსიტეტელები იქნებიან.

მასპინძლე ნადირაძე.

ქუთაისში უხვპლანან

დასასრული

ესმა ტურნირებმა შესამჩნევად შეუწყო ხელი საქართველოში სპორტის ამ სახეობის აღორძინებას. ჰაბუკეტი, პერიფერიაშიც კი, გატაცებით მისდევენ კრიგს. ამაში კიდევ ერთხელ ამ ტურნირზე გაგრძელებით, როცა რინგზე ვიხილეთ მესტიის, გურჯაანის, ფოთის, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასპარეზობის ფინალურმა შეხვედრებმა, დაძაბულად წარიმართა ბრძოლა ყველაზე მსუბუქე, 42 კილოგრამამდე წონის თბილისელი ს. უმუღოვსა და კიეველ ჯ. კალენსკის შორის. მეორე უპირატესობით გამარჯვა უმუღოვმა. საინტერესოდ ჩატარდა ერევნელი ა. ალექსანიაშვილი და ფოთელი ზ. სტეფანიანის (66 კგ) შეხვედრა. პირველი რაუნდი ფოთელმა მოკრივემ პირვინდალ წააგო, მაგრამ შემდეგ შესაშური ნებისყოფა გამოავლინა და მსხვერპლად გამოარჩევა მოიპოვა, რისთვისაც სპეციალური პრიზი მიიღო. დავით კვაჭაძის თასი დასაკუთრა თბილისელმა ჯუხა

წიკაურმა (63 კგ), რომელმაც მეორე რაუნდში სძლია მესტიელ გ. ნიკოლაშვილს. მასთან ერთად ვადაზე ადრე გამარჯვებს თბილისელმა ს. გრიგორიანმა (54) თანაუნდალ ფ. ხურსულიანთან, ერევნელმა კ. ნერსისაიანმა (70) მასპინძელ ა. ერმაკოვთან, გურჯაანელმა მ. მეტრეველიშვილმა (79), ვ. ვაშაქიძესთან (თბილისი), ერევნელმა რ. ტრუხიანმა (74), და გ. შაბაძე (85) თბილისელ ო. ხარებოვთან და ს. მარქარიანთან (თბილისი). კიეველი მძიმე წონის ვ. კონდრატენკო, რომელსაც ამ წონაში მეტოქე არ ჰყავდა, რინგზე არ გამოსულა.

დანარჩენ წონებში გამარჯვებს ერევნელმა ფ. ბაგრატიანმა (44), თბილისელმა ა. ბეგევიამ (46), ერევნელმა ა. ხაჩატრიანმა (48), თბილისელმა ს. მამედოვმა (50), ერევნელმა ა. შაბაზიანმა (52), თბილისელმა გ. მანუქიანმა (57) და რ. აშაიანმა (60).

პ. უგაიაძე

„სპორტპროგრესი“

მე-14 ტირაჟის შედეგები (4-7 აპრილი, 1987 წელი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა მე-14 ტირაჟების შედეგები. ტირაჟში დაიშვა 6.525.588 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (3) მოგება 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (62) — 3.166 მანეთი, 11 შედეგისათვის (751) — 1.002 მანეთი. მე-14 ტირაჟის მოგებათა გაცემა იწყაროვებს 1987 წლის 22 აპრილიდან 22 მაისამდე.

სისფერ-პირანე

ცენტრალური ტელევიზია. 15 აპრილი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სპორტი და პიროვნება: „რასტორ-ოცა, რომელიც პირაფის არ ჰგავს“ — 17.30 (1); ფეხბურთი. ოლიმპიური ტურნირის შერჩევითი მატჩი: თურქეთი — სსრ კავშირის ნაკრები. პირველი ტაიმი — 19.00 (2); მეორე ტაიმი — 20.00 (1); საკალათბურთო მიმოხილვა — 21.15 (2); სპორტულ-მხატვრული ზემო მიკავშირის XX ყრილობის დელეგატთაათვის — 22.40 (1).

საპარტიველო ტელევიზია. 15 აპრილი. ფეხბურთი. ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი: თურქეთი — სსრ კავშირი (მეორე ტაიმი) — 20.00.

დავით ჩუბინიძე. (დახასრული იქნება).